ქით, საქართველოს საზიანოდ გააყალბეს საზღვარი და ისე შეადგინეს ყველაფერი, რომ ჩიჩხიტური, აღდგომის ტაძარი და სტრატეგიული სიმაღლეები დარჩა აზერბაიჯანს! არ ვიცი, დღეს ცოცხალია თუ არა, მაგრამ მომხდარის გამო, ბატონი ალექსი საშინლად აღშფოთებული იყო. სხვათაშორის,

ვანო მერაბიშვილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიწათმოწყობის ლაბორატორიაში მუშაობდა ლაბორანტად და იცოდა, რომ საგარეჯოში მიწათმომწყობ ალექსი მათიაშვილს ძველი რუკები ჰქონდა. ივერი მელაშვილი, ნატალია ილიჩოვა და ვანო მერაბიშვილი ძველი ნაცნობები არიან... სწორედ ვანო მერაბიშვილმა გააგზავნა ისინი ალექსი მათიაშვილთან რუკების ჩამოსატანად. ამათ ეს რუკები გადამალეს, მოსპეს და აზერბაიჯანულ მხარეს ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული მიწა-წყალი უბოძეს!

რომ არა **ბატონი მერაბ ხიდაშელი,** ეს რუკები აღარ არსებობდა. სხვათაშორის, **ალექსი მათიაშვილი** ცხონებულმა **ალექსი არაბულმა** გამაცნო... ცნობისათვის, 1723 წელს პარიზში დაიბეჭდა საქართველოს რუკა, სადაც მთელი დავითგარეჯი და იმის იქით 80 კილომეტრზე მეტი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაშია!

— თქვენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ბრძანდებით. რას იტყვით ტექნიკური უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანების შესახებ?

— **საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს,** ანუ მაშინდელ **პოლიტექნიკურ ინსტიტუტს** საფუძველი ჯერ კიდევ 1912 წელს ჩაეყარა, როცა რუსეთის იმპერატორმა **ნიკოლოზ მეორემ** მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიაში, კონკრეტულად, თბილისში (როგორც ამიერკავკასიის ცენტრში), უმაღლესი ტექნიკური საინჟინრო სასწავლებლის შექმნის თაობაზე. ჩატარდა შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები და 1917 წელს იმპერატორის „პრიკაზიც“ გამოვიდა თბილისში უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დაფუძნების შესახებ. ამ ბრძანებას ახლდა საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვა, საშტატო განრიგი, შენობა-ნაგებობათა ნახაზები და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტაცია სრულად ინახება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საგამოფენო სივრცეში. იცოდა რა ამ ყველაფრის შესახებ დიდმა **ივანე ჯავახიშვილმა,** 1922 წლის 16 იანვარს, როგორც ჩვენი დედაუნივერსიტეტის რექტორმა, ქართველ საზოგადოებას საზეიმოდ განუცხადა პოლიტექნიკური ფაკულტეტის შექმნის შესახებ, რომლის დეკანადაც დანიშნა **ალექსანდრე დიდებულიძე.** ამ ფაკულტეტის პირველი გამოშვების შემდეგ, 1928 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, როგორც დამოუკიდებელი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, უკვე სრული ძალით ამუშავდა. მისი პირველი რექტორი იყო **კანდელაკი,** რომელიც სახალხო კომისართა საბჭომ დანიშნა, ხოლო პრორექტორი გახლდათ **ნიკოლოზ მუსხელიშვილი.** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჯავახიშვილის უნივერსიტეტთან შეერთებით ოთხი წლით არჩეული ხელისუფლება 104 და 107 წლის განათლების ტაძრებს ანადგურებს!

ეს ხელისუფლება ძალიან მალე უმუშევრად დატოვებს ათასობით პროფესორ-მასწავლებელსა და მეცნიერს და ცოდნისაკენ მიმავალ გზას გადაუკეტავს ათიათასობით ახალგაზრდას...

მოარული ხმებით, მალე უნივერსიტეტის შენობები გაიყიდება, ხოლო სააკაშვილის დედას — **გიული ალასანიას,** რომელმაც 1 ლარად ჩაიდგო ხელში ტექნიკური უნივერსიტეტის მე-5 კორპუსი, საფეხბურთო მოედანი და სხვა ტერიტორიები, მომჩივანსაც აღარ დაუტოვებენ!

მიუხედავად იმისა, რომ **თეა წულუკიანის** საგამოძიებო კომისია საზოგადოებას სამართლიანობის აღდგენას და, მათ შორის, ტექნიკური უნივერსიტეტისთვის **გიული ალასანიას** მიერ მიტაცებული შენობების დაბრუნებას დაჰპირდა, ყველაფერი თეატრალიზებულ წარმოდგენად დარჩა! **ამრიგად, ეს ხელისუფლება საქართველოს კოლონიურ ქვეყნად გადაქცევას უქადის, სადაც უნდა იყოს მხოლოდ მომსახურე პერსონალი, ხოლო ქართველ ერს აღარ ექნება მიწა-წყალი და განათლების მიღების შესაძლებლობა.**

მოკლედ, „მოქკავშირისა“ და დღევანდელმა ნაც-ქოცურმა ბანდამ პირნათლად შეასრულა და განახორციელა შეთქმულება **ქართველი ერის წინააღმდეგ, რათა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ხელში ჩაეგდოთ! თუ ქართველი ერი და ბერი არ გამოფხიზლდება და ქვეყნის მომავლის გადასარჩენად ერთად დგომას არ ისწავლის, მაშინ უფალი იმაზე უფრო მკაცრ სასჯელს მოგვივლენს!**

ესაუბრა

დიტო ჩუბინიძე



თემურ შაშიაშვილი:

დავითგარეჯის მიწების გასხვისება არის ის საკითხი, რომელსაც ნაცმოძრაობამაც და „ქართულმა ოცნებამაც“ იგნორირება უნდა გაუკეთონ, რადგან სიმართლის გარკვევა არც ერთ და არც მეორე ძალას არ აწყობს!

პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე და „მეცნიერთა კონგრესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი თემურ შაშიაშვილი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ ამ ხელისუფლებას „მეცნიერთა კონგრესის“ მიერ დაწერილი პროგრამები არ სჭირდება, სამაგიეროდ, სჭირდება „კონვერტირებული“ აგენტები, რომელთა ვინაობასაც მალავენ, მაგრამ მათი სახელები და გვარები აუცილებლად გამოაშკარავდება:

— **გაზეთ ასავალ-დასავალის“ გაბედულმა პოზიციამ თქვენს გაზეთში დამაბრუნა.** ხალხში დიდი ხანია დადის ხმები, რომ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებებმა დავითგარეჯის მიწები აზერბაიჯანს მიჰყიდეს. **ლაზარე ჯორბენაძის** ინტერვიუს გამოქვეყნება, სადაც მან პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** ქართული მიწის აზერბაიჯანისთვის გადაცემაში ამხილა, ამ დროსა და სიტუაციაში დიდი გამბედაობაა და ამისათვის ყოჩაღ, „ასავალ-დასავალს“! **თუ ეს ცილისწამებაა, პრემიერ-მინისტრი უნდა გამოვიდეს და შესაბამისი განმარტება გააკეთოს!**

— ბატონო თემურ, ამ სიტუაციაში, როცა უმძიმეს ბრალდებას გიყენებენ და სამშობლოს ღალატში გადანაშაულებენ, კობახიძის ადგილზე, თქვენ როგორ მოიქცეოდით?

— თუ მართალი ვიქნებოდი, გამოვიდოდი და ვიტყოდი — **„ხალხში ეს თემა დიდი ხანია მუსირებს და დიდი მადლობა „ასავალ-დასავალს“, რომ მომცა საშუალება, აღნიშნულ საკითხს ნათელი მოვფინო! ძმებო, ქართველებო, ეს არის ტყუილი და ცილი დამწამეს-მეთქი!“** აი, ასე მოიქცეოდა მართალი ხელისუფლება და ხელისუფალი, მაგრამ დღეს რა ხდება? დღეს ხელისუფლებისა და ოპოზიციის დუმილი ბევრ რამეს ხდის ფარდას და ერთხელ და სამუდამოდ ამტკიცებს იმ აზრს, რომ

ესენი ქართულ მიწებს ერთად ყიდიან და ამ საქმეში ხელისუფლებაც და ოპოზიციაც თანამოაზრეები არიან!

ოპოზიცია ამ საკითხზე კრინტს ვერ დაძრავს, რადგან

გაგრძელება მე-8 გვერდზე

კვირგვინოსნები

ირაკლი მელაშვილი
ექსპერტი

კაბინეტში გადაწყვეტილება მიიღეს და თქვეს, ახლა დაველაპარაკებით საზოგადოებასო — ეს მიუღებელია! **ასე ექცეოდა წინა ხელისუფლებაც განათლების რეფორმას** და რა მივიღეთ ამის შედეგად, ბევრად ავამაღლეთ განათლების დონე?

„კვირის პალიტრა“

სანდრო თვალჭრელიძე
ექსპერტი

რაც დღეს ხდება, **ტრაგედიაა, დანაშაულია,** იმიტომ, რომ **ჩვენ დავკარგავთ ზოგად სამეცნიერო განათლებასაც და ვიწროსპეციალიზებულ ტექნიკურ განათლებასაც.** ეს ცდაა, რომ დამოუკიდებლობა, რომელიც უნივერსიტეტებს, თვითმმართველობებს, აკადემიურ საბჭოს აქვთ, **მოსპონ და გახადონ მთავრობას დამორჩილებული სტრუქტურა.** მერე ხელოვნებას მიადგებიან და თეატრებს დაუკარგავენ თავისუფლებას.

„კვირის პალიტრა“

გიორგი გამსახურდია
პოლიტიკის ატაშე

ვაიმე, თსუ და სტუ შეაერთეს — ამას გაჰკივიან ტიპები, რომლებიც ქვეყნის **რუსეთთან შეერთებას** ხან — ირიბად და ხან პირდაპირ ითხოვენ.

„იმედინიუსი“

არჩილ გამზარდია
პოლიტოლოგი

უნივერსიტეტების გაერთიანებით, შეიძლება, **ისეთი შეცდომა დაუშვან,** რომელსაც ვეღარ გამოასწორებენ.

„ახალი თაობა“

ნუგზარ ბუცხრიკიძე
ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრ-სტუდია „მოდი ნახე“ სამხატვრო ხელმძღვანელი

ჩემი **„ბეპეი“** მე **ჰარვარდსაც მირჩევნია და კემბრიჯსაც.**

„ახალი თაობა“

თემურ შაშიაშვილი:

გია ყრუაშვილის მიერ უკან წაღებული სიტყვებით გაოგნებული ვარ. არადა, საქართველოში, თუ ვინმე მართალს იტყვის, თრგუნავენ, კუთხეში მიაყენებენ და ან მოისყიდიან, ან რაღაცას გააკეთებინებენ!,,

დასაწყისი მე-7 გვერდზე

აზერბაიჯანისთვის დავითგარეჯის მიწების გადაცემის შესახებ სააკაშვილის ხმამაღალი და მოღალატეობრივი განცხადებები არსებობს და ამას ვერავინ გაექცევა.

როგორც ჩანს, **სააკაშვილსა და ალიევს** შორის სწორედ მაშინ მოხდა სიტყვიერი შეთანხმება, რაც დღევანდელმა ხელისუფლებამ ხელმოწერით დაადასტურა.

საერთოდ, ხელისუფლებას როცა რაღაც თემაზე კამათი არ აწყობს, იმ თემას იგნორირებას უკეთებს! **„ქართულმა ოცნებამ“ „შუა ისე გაძრიფა“, ასპარეზზე დარჩა მხოლოდ თვითონ და ნაცმოძრაობა. ამ ორ ძალას იმდენ დანაშაულში აქვს მონაწილეობა მილებული, ისე არიან ერთმანეთში გადახლართული, აქ სიმართლის გარჩევა არ მოხდება**. როგორც ჩანს, დავითგარეჯის მიწების გასხვისება არის ის საკითხი, რომელსაც ნაცმოძრაობამაც და „ქართულმა ოცნებამაც“ იგნორირება უნდა გაუკეთონ, რადგან სიმართლის გარკვევა არც ერთ და არც მეორე ძალას არ აწყობს! საერთოდ, ოპოზიცია იმისთვის არსებობს, რომ ხელისუფლებამ შეცდომა არ დაუშვას, მაგრამ საქართველოში პირიქითაა — ჩვენში ოპოზიცია ჩასაფრებულია და ელოდება, თუ როდის შეცდება ხელისუფლება. ეს ხდება იმიტომ, რომ ოპოზიციაშიც და ხელისუფლებაშიც ადამიანები გაბოროტებული არიან. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, **დავითგარეჯის მიწების გასხვისების საკითხი ის თემაა, სადაც ხელისუფლებაც და ოპოზიციაც შესაშურ ერთსულოვნებას იჩენენ!**

— ამასწინათ თქვენ საგანგებოდ ისაუბრეთ კორუფციის მასშტაბებზე, რომელმაც ქვეყანა წალეკა!

— საქართველოს ღუპავს ოთხი რამ — **ყალბი ეროვნული პათოსი, დემოკრატიით თამაში, სოციალური დემაგოგია და ელიტური კორუფცია!**

კორუფცია შევარდნაძის დროს აყვავდა, სააკაშვილის დროს ნარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია, ხოლო ბიძინა ივანიშვილის მმართველობის დროს ყველა რეკორდი მოხსნა.

„ქართულმა ოცნებამ“ სააკაშვილის დროინდელი კორუფციის მწვერვალები დაიპყრო!

— როგორ ფიქრობთ, განიხილავს თუ არა ხელისუფლება ვადამდელი არჩევნების დანიშვნის თემას?

— დიდი ილია გვეუბნება, რომ ქართველთა გამარჯვებისა და დაპირისპირებული მხარეების შერიგების საფუძველია **„ბედნიერი მორიგება ერთმანეთის შეუგლალავად და დაუმონებლად.“** სწორედ ამ განწყობით შევიკრიბეთ გელათში 2026 წლის 8 თებერვალს. ვიტყვი იმას, რაც თავის დროზე **შევარდნაძეს** ვითხარი — კრიზისმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია და ასე ცხოვრება აღარ შეიძლება! ქვეყანა კორუფციასა და ნეპოტიზმში იხრჩობა... აი, მაგალითად, უნივერსიტეტებში აკადემიურ თანამდებობებზე ყველას და ყველგან ნათესავები და უახლოესი მეგობრები მოჰყავს. გამორიცხულია, უცნობი კადრი, რომელიც ხელმძღვანელთან ახლობლობით არ არის დაკავშირებული, იქ მოვიდეს... დღეს საზოგადოების 80 პროცენტი პოლიტიკური პროცესების მიღმაა დარჩენილი და ოპოზიციისა და ხელისუფლების მხარდამჭერები, საერთო ჯამში, მოსახლეობის 20 პროცენტს თუ შეადგენენ. **ვადამდელი არჩევნები დღეს ოპოზიციის ინტერესებში არ შედის, რადგან დაიმარხება. ამდენად, ოპოზიცია ფარისევლობს, რომ ვადამდელ არჩევნებს ითხოვს!** რაც შეეხება ხელისუფლებას, მას ჭკუა და გამბედაობა არ ჰყოფნის, ვადამდელი არჩევნები დანიშნოს, რადგან ხელისუფლების დაკარგვის ეშინია!

— ვიცი, რომ პაატა ბურჭულაძეს კარგად იცნობთ! ეს კაცი რამ გააგიჟა და რატომ ჩაიდინა ის, რაც 2025 წლის 4 ოქტომბერს მოაწყო?

— ისეთ რამეს გეტყვით, ღმერთმა ქნას, ტყუილი გამოდგეს, მაგრამ დასტურ, რომ ეგრეა! **პაატა ბურჭულაძეს ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს „ქანონიერ ქურდებთან“. სწორედ „ქურდებმა“ მისცეს მითითება — მიდი, მიაწექი, ყველაფერი მაღალ დონეზეა შეთანხმებული!**

— კონკრეტულად რომელ „კანონიერ ქურდს“ გულისმობთ?

— პაატა ბურჭულაძეს არც დაუმალავს, რომ **ტარიელ ონიანთან** ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს და მისი ვაჟის ნათლიაა! საერთოდ, დღეს საქართველოს მართავენ „კანონიერი ქურდები“. მაგალითად, **ტარიელ ონიანს** ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს **სააკაშვილთანაც** და ამ ხელისუფლებასთანაც იმდენად, რომ „ქართული ოცნების“ პარლამენტში **ტარიელ ონიანის** რამდენიმე ნათლული ზის!

საქართველოდან გაქცეული **გიორგი გაჩიაშვილი** სწორედ „კანონიერმა ქურდებმა“ და რუსეთის უშიშროებამ მოძებნეს და ჩამოიყვანეს! **ამას ვერ დავდასტურებ, მაგრამ დრო დაადასტურებს, რომ „კანონიერმა ქურდებმა“ გაქცეული გაჩიაშვილი იძიდან ალაპარაკეს ბიძინა ივანიშვილს...** იქ მთელი პერიპეტიები იყო...

ქართულ პოლიტიკაში ყველაზე მეტად რუსეთში გამდიდრებული ხალხის მეშინია, რადგან ეს შეუძლებელია რუსეთის სპეცსამსახურებისა და ქართველი „კანონიერი ქურდების“ ხელშეწყობის გარეშე. „კანონიერი ქურდები“ აქტიურად მონაწილეობდნენ **ზვიად გამსახურდიას** ეროვნული ხელისუფლების დამხობის საქმეშიც... ცნობისათვის, **ზვიად გამსახურდიას** ეროვნული ხელისუფლების დამხობა პირდაპირ კავშირშია რუსეთის ფედერაციაში ფულის შეცვლასთან. მაშინ ქართველების იმ გუნდმა, რომელიც მოსკოვში იყო, დიდძალი ფული იშოვა და სწორედ ეს ფულია, საქართველოს რომ არ ასვენებს!

— მოდით, დააკონკრეტეთ და უფრო დეტალურად ისაუბრეთ ამ საკითხზე!

— **მოგუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, გაასაჯაროს დემურ დვალიშვილის სია,** რომელიც პროკურატურაში დევს. თქვენ ნახავთ, რომ

მაშინდელი სახელმწიფო საბჭოსა და შევარდნაძის პარლამენტის წევრთა აბსოლუტურ უმრავლესობას მილიონობით დოლარი აქვს გატანილი სესხის სახით და უკან დაბრუნებული აქვს მხოლოდ კუპონები. დემურ დვალიშვილი იმერელი კაცი იყო, ჩემთან

კაბინეტში შემოვიდა და მითხრა – ბატონო თემურ, მილიონები გააქვთ, ქვეყანას ძარცვავენ და თუ გნებავთ, სესხს თქვენც მოგცემთო!

ლამის გავაგდე კაბინეტიდან... აი, სწორედ მაშინ მიტაცებული ფულია, დღეს ქართულ პოლიტიკაში რომ ტრიალებს... გადავწყდეთ პოლიტიკურ სპექტრს, გნებავთ — ოპოზიციაში და გნებავთ — ხელისუფლებაში, ძირითადად, სწორედ ის ხალხია წარმოდგენილი, რომელმაც დიდძალი ფული მიიტაცა. ვიმეორებ: **დემურ დვალიშვილის მიერ შედგენილი სია პროკურატურაშია და უნდა გამოქვეყნდეს!** ასევე დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს იმ 1200 კონვერტის ადრესატის სიაც, რომელსაც სუს-ის ყოფილი შეფის **გრიგოლ ლილუაშვილის** ნათესავის ბინაში მიაკვლიეს!

დიახ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ იმ ე.წ. ჟურნალისტებისა და ექსპერტების გვარ-სახელები, რომლებსაც სუს-ი ფულს ურიგებს და ხელისუფლებას ემონებიან...

დარწმუნებული ვარ, როცა

ბას იჩენენ!

მიაღწია, ხოლო ბიძინა ივანიშვილის მმართველობის დროს ყველა რეკორდი მოხსნა.

კორუფცია შევარდნაძის დროს აყვავდა, სააკაშვილის დროს ნარმოუდგენელ მასშტაბებს

კვირგვინოსნები

გიორგი შარაშიძე
„გაჯარია საქართველოსთვის“ წევრი

დიდი ბოდიში, მაგრამ **დებატებს რომ მიანონსებ** და მერე პანელურ დისკუსიაზე მიწვევ, სადაც **შენ შენი ტელევიზია, სატელიტური პარტიები და ექსპერტები მოგყავს,** ამას ღირსებასთანაც არანაირი კავშირი არ აქვს.

„რეზონანსი“

თეა წულუკიანი
პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი შარაშიძეს: დებატის შედეგი დადგა — **გიორგი გახარია ქვეყნიდან გავაქციე** და რომელი დებატის წაგებაზეა საუბარი, არ ვიცი.

„რუსთავი-2“

თამარ ჩერგოლეიშვილი
პარტია „ფედერალისტების“ ლიდერი

სააკაშვილს, ამ პოლიტიკურ ლეშს, რამდენიმე უკბილო ორკის გარდა, კაცი აღარ ჰყავს, **იძირება, სადაც მისი ადგილია** და ყველაფრის თან წაღება უნდა.

„რეზონანსი“

რამაზ საყვარელიძე
ფსიქოლოგი

ქალბატონი **გიული ალასანია აქტიურად მუშაობს უცხოეთში** ულტრალიბერალურ პოლიტიკურ წრეებთან, რომლებიც აქ **გადატრიალებას უწყობენ ხელს.**

„FOR.GE“

ირაკლი კირკვლია
საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი

შვედეთს მივმართავ — **დროს ნუ დაკარგავთ საქართველოში არაარსებულ პრობლემებზე შფოთვაში,** სჯობს, იმ ძირითადი გამოწვევების მოგვარებაზე იზრუნოთ, რის წინაშეც დღეს თქვენი სახელმწიფო დგას.

„საქართველოს რესპუბლიკა“



მათი გვარ-სახელები გასაჯაროვდება, ძალიან ბევრს თავში საცემად გაუხდება საქმე!

— რკინიგზელმა და სამოქალაქო აქტივისტმა გია ყრუაშვილმა ამ ერთი თვის წინათ „ასავალ-დასავალს“ ვრცელი და სკანდალური ინტერვიუ მისცა, სადაც რკინიგზის ხელმძღვანელობის, კერძოდ, დაჩი ცაგურიასა და კოკა გუნცაძის მისამართით საშინელი ბრალდებები გააჟღერა. ყრუაშვილმა დღეს ეს ბრალდებები უარყო და თქვა — ცუდად ვიყავი, ანერვიულებული ვიყავი და პატიოსან ხალხს ცილი დავწამეო! ცოტა ხნის წინათ, ფეისბუქკონფერენციაზე, „საქართველოს რკინიგზაზეც“ ისაუბრეთ და რა ხდება რკინიგზაში?

— **გია ყრუაშვილს** კარგად ვიცნობ, ჩვენთან მოდიოდა და ტელევიზიაში არაერთ გადაცემაში მიუღია მონაწილეობა. ცოტა მიკვირს, რადგან პრივატულ საუბარში რკინიგზაში შექმნილ ვითარებაზე ჩემთვის ისეთი რამეები აქვს ნათქვამი, კაცი ჭკუიდან გადავა! **იმის ბასარკვევად, თუ როგორ მუშაობს „საქართველოს რკინიგზა“, ჯერ დააკვირდით ვაგონებს, რომლითაც ხალხი მგზავრობს, მერე ჰკითხეთ მემანქანეებსა და გამცილებლებს, რამდენი აქვთ ხელფასი და ბოლოს იკითხეთ, „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელი მუშაკების ხელფასები რამდენია!**

გია ყრუაშვილის მიერ უკან წაღებული სიტყვებით გაოგნებული ვარ. არადა, საქართველოში, თუ ვინმე მართალს იტყვის, თრგუნავენ, კუთხეში მიაყენებენ და ან მოისყიდიან, ან რაღაცას გააკეთებინებენ! ეს არ არის ქვეყანა... **დაჩი ცაგურია** და მისი მეგობრები მე, მაგალითად, მაოცებენ... **ცაგურია** სამტრედიელია და ვიცნობ. **დაჩი, ეს არის დემოკრატიის ზეიმი? პორტები ჩვენი არ არის, მიწა არაბებზე იყიდება და ჩვენი არ არის, ოჭრო და მანგანუმი ჩვენი არ არის, ტყე ჩვენი არ არის, წყალი ჩვენი არ არის, ენერგეტიკა ჩვენი არ არის, აეროპორტები ჩვენი არ არის!** ქვეყანა იქცევა და ქვეყნის გაყიდვით გამდიდრებულები კი პარლამენტში სხედან და ხელისუფლებაში არიან! საქართველოს მოსახლეობაზე მწყდება გული... ხალხო, ფულმა ჯოჯოხეთი გაანათა? დიახ, როგორც ჩანს, გაანათა! ვინც ხალხს ტყუილი უთხრა, ხელისუფლებაშია, ხოლო, ვინც სიმართლე თქვა, ის ხალხმა მსხვერპლად აქცია! აი, სწორედ ეს არის ამ ქვეყნის ტრაგედია...

— რას იტყვით განათლების რეფორმისა და ორი უნივერსიტეტის გაერთიანების შესახებ?

— საქართველომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში დაახლოებით ოცდაათამდე განათლების მინისტრი გამოიცვალა. ყველამ მოღვაწეობა დაიწყო განცხადებით — **„ვიწყებთ განათლების რეფორმას“!**

როგორ შეიძლება მინისტრმა რეფორმა გაატაროს? რეფორმას ატარებენ სპეციალისტები, რომლებიც ამათ ჭირივით ეჯავრებათ. მიპასუხოს ვინმემ, განათლების სამინისტრო ამ რეფორმისა და ორი უნივერსიტეტის გაერთიანების შესახებ განათლების ექსპერტებსა და სპეციალისტებს რამეს შეეკითხა?

განათლების რეფორმას როგორ იწყებ, როცა ქვეყნის ორიენტირი არ გაქვს განსაზღვრული და არ იცი, საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყნად რჩება, მაღალტექნოლოგიურ ქვეყნად უნდა გარდაიქმნას თუ ტურიზმზე ორიენტირებულ მომსახურე ქვეყნად? **თუ ქართველი მეცნიერები ამ ხელისუფლებას იმის გაკეთებას ურჩევენ, რასაც ესენი განათლებაში აკეთებენ, მაშინ ამ ქვეყანას მეცნიერები არ ჰყოლია, მაგრამ, თუ ეს ხელისუფლება მეცნიერებს არ უჯერებს, მაშინ ასეთი ხელისუფლება რად გვინდა?**

— სწორედ ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით გაიტანეს ტექნიკური ფაკულტეტი უნივერსიტეტიდან და ასე დაიბადა ახალი უმაღლესი სასწავლებელი. არადა, ხელისუფლება აქაც კი ტყუილს გვეუბნება...

— საქართველოს მოსახლეობას სერიოზული დაფიქრება მართებს იმაზე, რომ ქვეყანა ტყუილსა და სიცრუეში ცხოვრობს! „მეცნიერთა კონგრესი“ არ არის პოლიტიკური ბრძოლის ორგანო, ეს არის ინტელექტუალთა ერთობა, რომელსაც ნებისმიერ თემაზე აქვს შემუშავებული პროგრამა — ძველი ვალების დაბრუნებაზე, პენსიების გაორმაგებაზე და ა.შ.

სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებას ჩვენ მიერ დაწერილი პროგრამები არ სჭირდება, სამაგიეროდ, სჭირდება „კონვერტირებული“ აგენტები, რომელთა ვინაობასაც მალავენ, მაგრამ მათი სახელები და გვარები აუცილებლად გამოაშკარავდება!

ესაუბრა
დიტო ჩუბინიძე



„ბიძინა ივანიშვილი დიდი ძალისხმევის ფასად ინარჩუნებს ქვეყანაში და ხელისუფლების შიგნით სიმშვიდეს, თორემ აქ ახლა უბედურება იქნებოდა!“

ლაზარე ჯორბენაძე:

არცერთი ჩემი სიტყვის უკან წაღებას არ ვაპირებ და კიდევ ერთხელ ვაცხადებ – დიახ, ეს დოკუმენტი მე ვნახე!

უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე, რომელმაც წინა კვირას გაზეთში „გრიფით: საიდუმლო“ ირაკლი კობახიძე ილჰამ ალიევისთვის დავითგარეჯის სადავო მიწების გადაცემაში დაადანაშაულა, აცხადებს, რომ, თუ დროზე არ მოვედით გონს, ორი საფრთხე გვემუქრება — ქართველი ერის სხვა ხალხებით ჩანაცვლება და ჩვენი მეზობელი ქვეყნების მიერ საქართველოს ტერიტორიების გადანაწილება:

— სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას დღეს ზუსტად იგივე უბედურება და ავადმყოფობა სჭირს, რაც 2011-2012 წლებში ნაციმოძრაობის ხელისუფლებას სჭირდა! ახლა ხელისუფლების პოზა ასეთია — **„ვერაფერს გვბრძნობ, არაფერი მესმის, ვერაფერს ვხედავ!“** ესენი უკვე მესამე ვადით არიან ხელისუფლებაში, რაც საქართველოს ისტორიაში არ მომხდარა და განიცდიან ძალაუფლებით ტკბობას. ამათ თავიანთ თავზე უკვე შეიქმნეს წარმოდგენა, რომ შეუცვლელები არიან, თუმცა, აქვე ისიც უნდა დავაკონკრეტოთ, რის შესახებაც არაერთხელ მაქვს ნათქვამი — **დღეს საქართველოს ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ აღარ არის!** „ქართული ოცნება“ 2016 წელს ნაწილობრივ ჩაანაცვლა კოჰაბიტირებულმა ხელისუფლებამ, ხოლო

2020 წლიდან მოყოლებული, „ქართული ოცნების“ სახელით, საქართველოს მართავს ნაციმოძრაობიდან გაღმომსხტარი და დიფ სთეითის მიერ მთლიანად კონტროლირებადი ხალხი.

ვინც ჩვენ 2012 წელს დიდი ბრძოლით ხელისუფლებაში მოვიყვანეთ, დღეს ხელისუფლებაში აღარ არის, ხოლო **ბიძინა ივანიშვილი,** როგორც „ქართული ოცნების“ მესაჭე, გარედან მომდინარე ინტენსიური ზეწოლის გამო, იძულებულია, **ფარული დასის** ნებას დაჰყვეს. მას არაფერს ვაბრალებ. იგი დიდი ძალისხმევის ფასად ინარჩუნებს ქვეყანაში და ხელისუფლების შიგნით სიმშვიდეს, თორემ აქ ახლა უბედურება იქნებოდა! **სამარაუდოდ, ბიძინა ივანიშვილი კორუმპირებული ჩინოვნიკების წინააღმდეგ ბრძოლას აწიც გააბრძელებს, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ დღევანდელ ხელისუფალთაგან ციხეში წასვლა კიდევ ბევრს მოუწევს!**

— მაინც ვისზე მიანიშნებთ?

— გნებავთ, პარლამენტში, გნებავთ, მთავრობაში, გნებავთ, სასამართლოში და, გნებავთ, პროკურატურაში პარლამენტართა, მინისტრების, მოსამართლეებისა და პროკურორების დიდი ნაწილი ღრმად კორუმპირებულია. ისინი დიდძალ ქონებებს ფლობენ, რომლებიც თავიანთ ნათესავებსა და მეგობრებზე აქვთ გადაფორმებული. **ამათ შორის ბანსაკუთრებით მდიდარი და კორუმპირებულია სასამართლო ხელისუფლება, რომელიც ჯერჯერობით ხელშეუხებელია.**

— მოდით, ვისაუბროთ ჩვენს სკანდალურ ინტერვიუზე, რომელიც გაზეთ „გრიფით: საიდუმლოში“ 2 თებერვალს გამოქვეყნდა. თქვენ ისევ და ისევ ადასტურებთ, რომ თქვენი თვალით ნახეთ ის ზესაიდუმლო დოკუმენტი, რომელსაც ირაკლი კობახიძე და ილჰამ ალიევი აწერენ ხელს და რომლითაც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დავითგარეჯის სადავო მიწები — ჩიჩხიტურის კოშკი, აღდგომის ტაძარი და სტრატეგიული სიმაღლეები 2025 წლის შემოდგომაზე აზერბაიჯანს გადაეცა?

— არცერთი ჩემი სიტყვის უკან წაღებას არ ვაპირებ და კიდევ ერთხელ ვაცხადებ — **დიახ, ეს დოკუმენტი მე ვნახე! ფაქტი სახეზეა — ჩიჩხიტურის კოშკთან, აღდგომის ტაძართან და ნათლისმცემლის ეკლესიასთან აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დგანან და ქართველ კაცს ეკლესიაში სალოცავად არ უშვებენ!**

— აზერები მანდ ქართველებს უკვე რამდენიმე წელიწადია, ალარ უშვებენ!

— კი ბატონო, მაგრამ საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძისა** და აზერ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

კვირგვინოსნები

გია ვოლსკი
პარლამენტარი

ახლო წარსულის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ **გრანტების სახით შემოსული თანხები ხმარდება ექსტრემიზმის განვითარებას.**

„რეზონანსი“

პაპუნა ზაქარეიშვილი
კონფლიქტოლოგი

„ოცნება“ ვერაგულად, მაგრამ გონივრულად იქცევა — **ასუსტებს საპროტესტო მოძრაობას „დაუვი და იბატონეს“ პრინციპით.** სხვადასხვა ჯგუფს ცალ-ცალკე არტყამენ და გაერთიანება ვერ ხერხდება. „რეზონანსი“

ირაკლი ბოგავა
ანალიტიკოსი

ის, რაც ხდება საქართველოში, არ არის **ანტიდასავლური გამოსვლები,** ეს არის **ანტიკოლონიური აჯანყება.**

„ჯორჯიან თაიმსი“